ტესტი ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(1) 1. „შუშანიკის წამებაში“ იაკობ ხუცესი დედოფლის სამკაულების შესახებ ამბობს: *„ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პიტიახშსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა, და იპოვა ყოველი გებულად“.*

რას ნიშნავს სიტყვები: *„იპოვა ყოველი გებულად“*?

ა) ზოგი სამკაული დაზიანებული იყო.
ბ) ზოგიერთი სამკაული აკლდა.
გ) სამკაულები უკლებლად იყო.
დ) ყველა სამკაული შელახული იყო.

(1) **2. გაიხსენეთ „აბო თბილელის წამებიდან“ ნერსე ერისთავის აფხაზეთიდან გამოსვლის ეპიზოდი. რატომ სთხოვა მთავარმა აბოს აფხაზეთში დარჩენა?**

ა) სურდა, რომ აბო აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცებაში დახმარებოდა.

ბ) სურდა, რომ აბოს მსახურებისათვის ნელსაცხებელთა შეზავება ესწავლებინა.

გ) შიშობდა, რომ სარკინოზები აბოს ბაღდადში დაბრუნებას აიძულებდნენ.

დ) შიშობდა, რომ სარკინოზები აბოს ქრისტეს რწმენაზე უარს ათქმევინებდნენ.

(1) **3. რატომ გააჩაღა გრიგოლ ხანძთელმა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა ტაო-კლარჯეთში?**

ა) გრიგოლ ხანძთელის დროს ტაო-კლარჯეთი, როგორც ქვეყნის განაპირა მხარე, სამეფო კარის ყურადღებას იყო მოკლებული.

ბ) გრიგოლ ხანძთელი წარმოშობით ტაო-კლარჯეთიდან იყო და ზედმიწევნით იცნობდა იქაურ გარემოსა და ვითარებას.

გ) ტაო-კლარჯეთში უკვე არსებობდა მწიგნობრობის ტრადიცია და მთარგმნელობითი საქმიანობის აღორძინება ადვილად მოხერხდებოდა.

დ) ტაო-კლარჯეთში უცხო ძალები არ ბატონობდნენ და იქ უფრო მოსახერხებელი იყო კულტურულ-სარწმუნოებრივი ცენტრის შექმნა.

(1) **4. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“:**

„ქალი ადგა, გამეყარა, დავწევ, ამოდ დამეძინა,
მაგრა შევკრთი, საყვარელი ჩემი ვნახე ძილსა შინა,
გამეღვიძა, აღარა მყვა, სულდგმულობა მომეწყინა,
ღამე ასრე გავათენე, მისი ხმაცა არ მესმინა“.

რას ნიშნავს სიტყვები: *„სულდგმულობა მომეწყინა“*?

ა) გადაკარგვა მომინდა.
ბ) სატრფო მომენატრა.
გ) სიცოცხლე შემძულდა.
დ) უძილობამ შემიპყრო.

(1) **5. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“:**

„მოიხმო მისი გამზრდელი ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.
მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“.

რა განძეულობა იგულისხმება სიტყვებში: *„ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“*?

ა) რაც თინათინს ტახტზე ასვლამდე ეკუთვნოდა.
ბ) რაც მომავალი უფლისწულისათვის იყო განკუთვნილი.
გ) რაც როსტევანს თინათინისათვის უნდა გადაეცა.
დ) რაც ტახტზე ასვლის ზეიმისათვის იყო გამოყოფილი.

(1) **6. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“:**

„ერთი კაცი უკუღმართად ვნახე ერქვანთ ასხამს ფთებსა,
კვლავ მეორე მისებრ მრუდსა მისთვის კაბდოს აკეთებსა.
მხვნელსა ვკითხე: „რად ეგრეთ იქ?“ თქვა: „ძალა ხნავს აღმართებსა“,
მფარცხველმა თქვა: „დაღმა ვფარცხავ, აღმა ხნულსა ეს მართებსა“.

რა არის მოცემული სტროფის მთავარი სათქმელი?

ა) ქართველები ხვნა-თესვით თავს აღარ იწუხებენ.
ბ) ქართველებმა მომავლის იმედი დაკარგეს.
გ) ქართველებმა საკუთარი წარსული დაივიწყეს.
დ) ქართველებს ერთმანეთთან უთანხმოება აქვთ.

(1) **7. სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ მეფე ფინეზის შესახებ ვკითხულობთ:** *„სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშისა ნიავით გაექარვებინა“.*

რას ვიგებთ ფინეზის შესახებ ამ მონაკვეთში?

ა) მან თავისი გულმოწყალებით შიში დაამარცხა.
ბ) მან თავისი სიფიცხით ქვეყანა დააზიანა.
გ) მან საკუთარ სისუსტეებზე გამარჯვება შეძლო.
დ) მან ღვთის ნების წინააღმდეგ გაილაშქრა.

(1) **8. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფია. ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი *<u>არ არის</u>* სწორი?**

ა) გრიგოლ ორბელიანი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაატუსაღეს.

ბ) გრიგოლ ორბელიანი დედის მხრიდან ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი იყო.

გ) გრიგოლ ორბელიანი ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას.

დ) გრიგოლ ორბელიანი მრავალი წლის განმავლობაში შამილის წინააღმდეგ იბრძოდა.

(1) **9. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზედ“. რას მიემართება სიტყვები:** *„გულდახურულთა მეგობარო“*?

ა) ზენაართ სამყოფს.

ბ) ღრუბლიან მთას.

გ) ყვავილოვან ველს.

დ) წყნარ საღამოს.

(1) **10. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ სოლომონი მეფე ერეკლეს მიმართავს:**

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
არარას არგებს, ოდეს მის შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს“.

რას ნიშნავს სიტყვები: *„ერთობა სჯულის“*?

ა) ინტერესთა თანხვედრას.
ბ) მსგავს ტრადიციებს.
გ) საერთო სარწმუნოებას.
დ) საერთო წარმომავლობას.

(1) **11. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“. რამ მოაგონა ავტორს რუსთაველის სიტყვები:** *„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა…“*?

ა) დღემ, რომელიც მიმზიდველია „თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა...“

ბ) თერგმა, რომელიც „დამარცხებულ და ნათრევ ლომსავით“ გამოიყურება.

გ) მყინვარმა, რომელიც „თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი“.

დ) ღამემ, რომელიც არის „ჟამი და დრო კუდიანების სერობისა“.

(1) **12. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ ვკითხულობთ:**

„ბრძანა თორნიკემ: – გაურჩეველად,
ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,
სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი!..
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს – სამარეს“.

თორნიკე ერისთავის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?

ა) გამბედაობა.
ბ) შეუპოვრობა.
გ) შორსმჭვრეტელობა.
დ) ჰუმანურობა.

(1) 13. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“. რა რეაქცია ჰქონდათ ქისტებს, როდესაც ჯოყოლას სიკვდილის ამბავი შეიტყვეს?

ა) გაბრაზდნენ, რადგან მტერმა იოლად დაამარცხა.
ბ) გაოცდნენ, რადგან მტერს უბრძოლველად დანებდა.
გ) გაუხარდათ, რადგან მოღალატედ მიაჩნდათ.
დ) შეწუხდნენ, რადგან სისხლის აღება მოუწევდათ.

(1) **14. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას ლექსიდან „კაი ყმა“:**

„პირველად ომის დამწყები,
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს...“

კარგი ყმის რა თვისება ჩანს ამ სიტყვებში?

ა) სიბრძნე.
ბ) სიდარბაისლე.
გ) სიმამაცე.
დ) სიუხვე.

(1) 15. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ: „ბეკინას თავისი თავი მდიდრებში მოჰქონდა და ვინ იქნებოდა, რომ თავის სიღარიბეზე ერთი სიტყვა წამოეცდევინებინა ბეკინასთვის? როგორც იმერეთში ამბობენ, ერთობ გადაპრანჭული იყო ჩვენი ბეკინა“.

როგორ ახასიათებს ავტორი ბეკინა სამანიშვილს?

ა) თავი დიდ ვინმედ მიაჩნია, მაგრამ ახლობლები არაფრად აგდებენ.
ბ) თავი ძლივს გააქვს და ამას მეტისმეტად მტკივნეულად განიცდის.
გ) სიმდიდრით თავს იწონებს და აქვს კიდევაც საამისო საფუძველი.
დ) ხელმოკლედ ცხოვრობს, თუმცა შეძლებულ ადამიანად მოაქვს თავი.

(1) 16. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ ვკითხულობთ:

„მილიციამ გალახა სამსახურში მყოფი სარდალი.
სახალხო გვარდიელებმა გაასამართლეს თამასუქზე მომჩივან-მოპასუხე და განაქორწილეს ცოლ-ქმარი...
სადღაც დაიკარგა შაქრის მთელი საწყობი, –
ვერც გაიგეს, სად წავიდა...
ძაღლებს მიუგდეს მოკლული ადამიანის ცხედარი.
და აღშფოთებული პუბლიცისტი ყვიროდა, ძაღლებს მაინც ნუ გაუფუჭებთ ზნესო...“

რა არის მოცემული მონაკვეთის მთავარი სათქმელი?

ა) მხოლოდ გვარდიელები იცავენ კანონს.
ბ) ოჯახის ღირსებას არავინ უფრთხილდება.
გ) პუბლიცისტები დაუსჯელად პარპაშებენ.
დ) ქვეყანაში განუკითხაობაა გამეფებული.

(1) **17. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „თოვლი“:**

„მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,
ვით უბინაოს – ყოფნა ბინაში...
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე“.

რა განაპირობებს ლირიკული გმირის განცდებს?

ა) სატრფოს მონატრება.
ბ) უსახლკაროდ დარჩენა.
გ) რწმენის დაკარგვა.
დ) ხალხისაგან გარიყვა.

(1) **18.** ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის ლექსიდან „ყივჩაღის პაემანი“:

„ხოხბობას გნახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!“

ლირიკული გმირის რა სულიერი მდგომარეობაა ასახული ამ ნაწყვეტში?

ა) განცვიფრება.
ბ) დაბნეულობა.
გ) სინანული.
დ) სიხარული.

(1) **19. გაიხსენეთ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“. რატომ ეპარება გურამი მოქეიფეთა ჯგუფს *„სანადიროდ გამოსული კატუნიას ნაბიჯებით“*?**

ა) განზრახული აქვს მათი ცხენი უჩუმრად გაიყვანოს.

ბ) განზრახული აქვს მოქეიფეებს უცაბედად თავს დაესხას.

გ) სურს, რომ მალულად ალავერდის გუმბათზე ავიდეს.

დ) სურს, რომ მოქეიფეებს ღრეობაში ხელი შეუშალოს.

(1) **20. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ვკითხულობთ:**

„რესპონდენტი თავისას ფიქრობს, თავისასვე ფიქრობს ხელმძღვანელი, და მხოლოდ მე არ ვიცი, რა ვქნა... მახსენდება საშინელი, საზარელი სიტყვა „ჩამომალაბორანტეს“.

რას ნიშნავს სიტყვა *ჩამოლაბორანტება*?

ა) თანამდებობრივ დაქვეითებას.

ბ) ლაბორატორიიდან გაძევებას.

გ) სამსახურიდან დათხოვნას.

დ) ხელმძღვანელობის საყვედურს.

(5) **21. გაიხსენეთ ავთანდილის ანდერძი „ვეფხისტყაოსნიდან“:**

1. რას ასახელებს ავთანდილი გაპარვის მიზეზად?
2. რატომ ამბობს ავთანდილი: *„არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა“*?
3. რას ნიშნავს ავთანდილის სიტყვები: *„პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“*?
4. გარდა როსტევანისა, კიდევ ვინ იგულისხმება სიტყვებში: *„ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი...“*?
5. რა მხატვრული საშუალებაა: *„შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ცხელთა დამავსებლად...“*?

(5) 22. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან?!“ ქორწილის ეპიზოდი:

1. რატომ არ აჩვენეს პატარძალი ლუარსაბს საყდარში შესვლამდე?
2. რატომ იკითხა დავითმა საყდარში დარეჯანის დანახვაზე: *„– პატარძალი სად არის...“*?
3. რა გზას მიმართა მოსემ, რომ ლუარსაბი ჯვრისწერაზე დაეყოლიებინათ?
4. რატომ ამბობს ლუარსაბი უარს ჯვრისწერის შემდეგ დარეჯანის წაყვანაზე?
5. რა მხატვრული საშუალებაა *„დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი“*?

(4) **23. გაიხსენეთ გიორგი მეფის მონოლოგი კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“:**

1. გიორგი მეფის აზრით, რა შემთხვევაში ვერ გაამარჯვებინებს ხალხს თვით მაკედონელიც კი?
2. რატომ ამბობს მეფე გიორგი: *„არ მიყვარდა პაპაჩემი – გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი – ბაგრატ კურაპალატი, და მცხეთიდან გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს“*?
3. მეფე გიორგი ამბობს: *„სიმთვრალეში კარგი ვაჟკაცები ვართ და კარგი რიტორები“.* რას ნიშნავს სიტყვა *„რიტორი“?*
4. რა მხატვრული საშუალებაა *„არ მიყვარს პამპულა ეპისკოპოსები“?*

(3) **24. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილიდან „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“:**

„სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ... არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია... ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა“.

1. ავტორის რა დამოკიდებულება ჩანს იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისადმი?
2. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: *„თვითონაც თითი გავძრათ“*?
3. ქართველების რა თვისება ჩანს სიტყვებში: *„მე ვარ და ჩემი ნაბადიო“*?

(3) **25. აკაკი ბაქრაძე პუბლიცისტურ წერილში „რატომ ხდება ასე?“ წერს:**

„ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვირწმუნოთ ერთი ურყევი კანონი – შეიძლება არსებობდეს ხელოვნების ნაწარმოების გარშემო ორი რადიკალურად განსხვავებული აზრი და სამივეს (ნაწარმოებსა და ორ სხვადასხვა აზრს) არსებობის თანაბარი უფლება ჰქონდეს. ოღონდ ორივე აზრი სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული“.

1. რას უნდა ითვალისწინებდეს ადამიანი, როდესაც ხელოვნების ნაწარმოების შესახებ შეფასებებს ეცნობა?
2. ხელოვნების ნაწარმოების შესახებ გამოთქმულ რომელ მოსაზრებას ენიჭება უპირატესობა?
3. რა არის მთავარი ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ მოსაზრების გამოთქმის დროს?

II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

(30) 26. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ჯემალ თოფურიძის მოთხრობიდან „მათთვის, ვინც მამამ მიატოვა!“

ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება დღე, როდესაც მისგან ყველაზე ახლობელი მიდის. ისინი მიდიან ნებით, უნებლიეთ; ზოგს ძალიან უნდა წასვლა, ზოგს ძალიან არ უნდა, მაგრამ ძალით მიჰყავთ. მიდიან სამუდამოდ, კვდებიან. ზოგი მიდის და ბრუნდება, ზოგი არ ბრუნდება, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ აღარ არის, უბრალოდ, სხვაგან უკეთ გრძნობს თავს.

ამ უკანასკნელთა რიგებს მამაჩემის პიროვნებაც ამაყად უმშვენებს გვერდს.

მამები გვტოვებენ ნებისმიერ ასაკში, როდესაც სულ ჩვილები ვართ ან ცოტათი წამოვიზარდეთ და პირველად ვამბობთ „მამას“, როდესაც სიარულს ვიწყებთ ან სკოლაში მივდივართ პირველად. არც მაშინ იკავებენ თავს, როდესაც ყველაზე მეტად გვინდა ვთქვათ: მამაჩემს ფეხბურთზე მივყავარ, გუშინ მამასთან ამხანაგები იყვნენ, მამას სათევზაოდ ვყავდი, მამის საწერი მაგიდის უჯრაში იარაღი ვნახე, ბოლოს და ბოლოს, გუშინ მამამ სიგარეტის წევაში ჩამავლო და მცემა, მაგრად მცემა; მიდიან მაშინ, როდესაც ბიჭობაში შედიხარ და ყველაზე მეტად გინდა მამა. ეს ბედნიერება მეც სწორედ ამ დროს მეწია. ცამეტი წლის ვიყავი. ცამეტი წლის ვიყავი და ვგიჟდებოდი მამაჩემზე. არც ახლა მძულს. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მიყვარს კიდეც. ჰო, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ვუყვარვარ და ისევ ისე მიყვარს, მაშინ რომ მიყვარდა. წელიწადში ერთხელ ან ორჯერ თუ ვნახავ, ისიც მაშინ, როდესაც ჩემს ცხოვრებაში რაღაც ღირსშესანიშნავი ხდება და დედა ურეკავს. მოდის ნახევარი საათით, ჭკუას მარიგებს, მერე საათზე დაიხედავს და გარბის ისევ ერთი წლით, თავის მეორე წყება ცოლ-შვილთან. იძახიან, ადამიანი თუ გიყვარს, შეიძლება საუკუნე არ ნახო და მაინც გიყვარდესო. შეიძლება, მაგრამ მამა არა.

ლამაზი იყო მამაჩემი, ისე ლამაზი არა, როგორც კარგი იყო: მაღალი, წაბლისფერთმიანი, თვალსა და წარბს შორის იარა ჰქონდა; ბიჭობაში ვიღაცას ლუდის კათხა ჩაერტყა; უხდებოდა ეს იარა. რომ იცინოდა, თვალებიც რაღაც სევდიანად უღიმოდა. კარგი იყო მამაჩემი. მამაჩემიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მეყვარებოდა. ბოლო დროს ვატყობდი, რომ ისე აღარ იყო დედასთან, როგორც ყოველთვის. აღარც ჩემთან. აღარსად დავყავდი, აღარც მაცინებდა, თვალებშიც მეტი სევდა ჩაუდგა.

„რატომ, მამა?“ – ვკითხე ერთხელ, მარტო რომ ვიყავით ოთახში. ის ტელევიზორს უყურებდა, უფრო სწორად, ტელევიზორის წინ იჯდა და სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. „რატომ, მამა?“ – ვთქვი ჩემდა უნებურად. ის თავისთვის იჯდა. მე აქეთ, კუთხეში, ტახტზე რაღაც ჟურნალს ვათვალიერებდი. უფრო სწორად, კი არ ვათვალიერებდი, მხოლოდ უაზროდ ვფურცლავდი. თითს ენით ვისველებდი და ვფურცლავდი, ოღონდ სულაც არ ვათვალიერებდი. „რატომ, მამა?“ მე იმისთვის კი არ მითქვამს, ჩემს თავს ვუთხარი. ამას უკვე კარგა ხანია ვეკითხებოდი საკუთარ თავს. კარგა ხანია მაწუხებდა ეს, მაწვალებდა, ჩუმად მატირებდა. „რატომ, მამა?“ – ვთქვი და მეგონა, ქვეყანა დაიქცეოდა. ჩუმად, უნებლიეთ მათქმევინა რაღაცამ და საშინლად შემეშინდა, არ გაეგო მამას. ეტყობოდა, გული მიგრძნობდა რაღაცას, ვგრძნობდი, რომ მამა უნდა წასულიყო. შემოტრიალდა უცბად, ნერვიულად. „რაო, რა თქვიო?“ – მკითხა. „არაფერი-მეთქი,“ – ვუპასუხე. „შენღა მაკლდი ახლაო“, – ჩაიბურდღუნა გულისწყრომით ბრაზმორეულმა. ცხოვრებაში მამისგან უხეში სიტყვა არ მსმენია. ჟურნალისათვის არ მომიცილებია თვალი; ვიგრძენი, როგორ გაწყდა სადღაც, მთელ სხეულში გაშლილი, გაბნეული სიყვარული. „შენ მაკლდი ახლაო“, – მითხრა ისე, როგორც ვიღაცას ეუბნებიან. მიტოვებული ვიყავი უკვე. მამას სახლში აღარაფერი დააკავებდა.

სექტემბერი იყო. სკოლიდან ვბრუნდებოდი. ჩვენი სახლი რომ დავინახე, უცებ რაღაცის შემეშინდა, სადარბაზოდან სახლში შესვლა ვერ გავბედე, უკანა მხრიდან მოვუარე, ფრთხილად ავედი ხის კიბეზე და აივნიდან სამზარეულოს კარი ნელა შევაღე. დედა ფანჯარასთან იდგა და ტიროდა. მივხვდი – მამა წავიდა. მე მახსოვს, როგორ გამოვიქეცი უკან. დიდხანს გავრბოდი, მაგრამ მეგონა, ერთ ადგილას ვურტყამდი მიწას ფეხებს. მეგონა, უზარმაზარი ქუჩა მოქროდა ჩემს საწინააღმდეგოდ თავისი ხალხით, სახლებით, ხმაურით. დავიქანცე...

ყურადღებით წაიკითხეთ რობერტ ბერნსის ლექსი „ჩემს უკანონო შვილს“:

გახსოვდეს, შვილო, იცოდე ერთი,
კაცი არ ვიყო, გამიწყრეს ღმერთი,
თუ შემრცხვეს, ანუ თუ შევკრთე ელდით,
    რომ შესწყვეტ თამაშს

და შემომძახებ ანაზდად ცეტი
ტიტინით – მამას.

ო, შვილო ჩემო, ასლი ხარ დედის,
სურათი ჩემი ლამაზი ბეტის,
თავს განაცვალებ ჩემს ციცქნა ლედის,
იზარდე ტკბილად,
ვითომც არც გთვლიდნენ, საყდრები დღემდის
შენ ცოდვის შვილად!

თუმცა მთათხავენ დიაცნი სოფლის,
მნათლეს სახელით უღირსი მშობლის, –
სოფლის ჭორები გაგვხდიან ცნობილს, –
დე, გვნესტრონ ენით!
არა, შენ ხვედრი არ გელის ობლის,
იზარდე ლხენით!

ტკბილ სიყვარულის შენ ხარ ნაყოფი,
შედეგი სიმხნის, სიყრმის, ლაღობის;
თუმც უკანონოდ შენი ბალღობის
იელვა შუქმა,
გექნება ჩემგან სარჩო სამყოფი –
გაგიყოფ ლუკმას.

ვიცი, ინათებ მშვენებით სრულით!
და, თუმცა მღვდლებმა შეგრისხეს შურით,
ვიცოცხლებ შენით და შენზე ზრუნვით –
        შენია, რაც მაქვს;
შენთან ვიქნები სულით და გულით –
        გპირდები ამაგს.

ღმერთმა ჰქნას, დაგყვეს კისერი გედის,
სიმტკიცე მამის, სინაზე დედის –
ოღონდ ნაკლიც აქვს, საწყალს და კეთილს,
        შენს ულირს მამას,
და ცოდვებში რომ გამოემგვანო –
        არ გირჩევ ამას!

თარგმნა **მურმან ლებანიძემ**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *არ აღემატება 150 სიტყვას,* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ჯემალ თოფურიძის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ.
- იმსჯელეთ რობერტ ბერნსის ლექსის მთავარი სათქმელის შესახებ.
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავებების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!